

## ბიბლიოთეკის დებულება

### შინაარსი

1. ზოგადი დებულებები .....	2
2. ბიბლიოთეკის მიზნები და ფუნქციები.....	2
3. ბიბლიოთეკის უფლება-მოვალეობანი.....	2
4. ბიბლიოთეკარი.....	3
5. მკითხველის უფლებები და მოვალეობები.....	3
6. დასკვნითი დებულებები.....	4

## 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. ბიბლიოთეკა წარმოადგენს სკოლის სტრუქტურულ ერთეულს, სადაც განთავსებულია სხვადასხვა დარგის სასწავლო, სამეცნიერო - პოპულარული, მხატვრული და მეთოდური შინაარსის პროფილური საბიბლიოთეკო დოკუმენტები.
- 1.2 ბიბლიოთეკის საქმიანობა წარიმართება წინამდებარე დებულების, „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ“ საქართველოს კანონის, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, დირექტორის მითითებებისა და განკარგულებების საფუძველზე.
- 1.3 წინამდებარე დებულებაში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს სკოლის პედაგოგიურ საბჭოს.

## 2. ბიბლიოთეკის მიზნები და ფუნქციები

- 2.1. ბიბლიოთეკის ძირითად მიზანს წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებისა, პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების თეორიულ-პრაქტიკული ცოდნის ამაღლების ხელშეწყობა სათანადო სახელმძღვანელოებით.
- 2.2. სკოლის ბიბლიოთეკა წარმოადგენს საგანმანათლებლო და ბიბლიოგრაფიული მუშაობის ცენტრს, მიზნად ისახავს სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხელშეწყობას და კლასგარეშე კითხვის ორგანიზებას.
- 2.3. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს:
  - საბიბლიოთეკო ფონდის შესაბამისობას სკოლის საგანმანათლებლო და აღმზრდელობით ამოცანებთან.
  - საბიბლიოთეკო ფონდის შესაბამისობას პროფესიულ პროგრამებთან.
  - მკითველთა დაკმაყოფილებას მათთვის საჭირო ლიტერატურითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.
  - ჩამოსაწერი და შესამენი წიგნების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას სკოლის დირექციისთვის.
  - კავშირის დამყარებას სხვა ბიბლიოთეკებთან.

## 3. ბიბლიოთეკის უფლება-მოვალეობანი

- 3.1. ბიბლიოთეკის ქონების და ფონდის დაცვა, მოვლა-პატრონობა სავალდებულოა ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომლისა და მკითხველისათვის;
- 3.2. ბიბლიოთეკა ვალდებულია გაუწიოს მკითხველს კონსულტაცია ინფორმაციის წყაროების არჩევასა და ძიებაში;
- 3.3. ბიბლიოთეკა ვალდებულია შეისწავლოს ბიბლიოთეკის მომხმარებლის მოთხოვნები და სრულყოფს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- 3.4. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ბიბლიოთეკის ფონდში არსებული გამოცემების აღრიცხვას, შენახვასა და რაციონალურად გამოყენებას.

3.5. ბიბლიოთეკის მიერ ლიტერატურის შექმნა უნდა დადასტურდეს შესაბამისი ანგარიშგაქტურით, ხოლო ბიბლიოთეკისთვის ლიტერატურის ჩუქების შემთხვევაში უნდა გაფორმდეს ჩუქების ხელშეკრულება .

3.6. მოსწავლის მიერ სწავლის დასრულების შემთხვევაში ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა უნდა დაადასტუროს დავალიანების არ არსებობა. ასევე დაწესებულების პერსონალისთვის, კონტრაქტით მოწვეული პირებისათვის, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას არ შეიძლება განხორციელდეს საბოლოო ანგარიშსწორება თუ პერსონალს ბიბლიოთეკის მიმართ გააჩნია დავალიანება.

## 4. ბიბლიოთეკარი

4.1. ბიბლიოთეკის საქმიანობას უზრუნველყოფს ბიბლიოთეკარი.

4.2. ბიბლიოთეკარი:

- წარმართავს ბიბლიოთეკის საქმიანობას;
- პასუხს აგებს ბიბლიოთეკის ქონების დაცვასა და მიზნობრივი გამოყენებისთვის;
- ატარებს სათანადო ღონისძიებებს ბიბლიოთეკის მატერიალურ- ტექნიკური ბაზის სრულყოფის, მკითხველთათვის აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით;
- უზრუნველყოფს წიგნების მიღებას, დამუშავებას და მათი აღრიცხვას ელექტრონულ ან ბეჭდურ კატალოგებში;
- უზრუნველყოფს სარეგისტრაციო ჟურნალის წარმოებას;
- უზრუნველყოფს მკითხველთათვის კონსულტაციების გაწევას ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების თაობაზე.

## 5. მკითხველის უფლებები და მოვალეობები

5.1. ბიბლიოთეკის მკითხველია:

- მოსწავლე;
- პროფესიული სტუდენტი;
- დაწესებულების პერსონალი;
- დაწესებულებაში შრომითი კონტრაქტის საფუძველზე მოწვეული პირები;

5.2. მკითხველს უფლება აქვს ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ისარგებლოს ბიბლიოთეკის ნებისმიერი მომსახურებით.

5.3. ბიბლიოთეკა მუშაობს ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით 9:30 -დან 18:30 საათმდე.

5.4. გატანაზე შეზღუდვა დაწესებულია სასკოლო სახელმძღვანელოებზე და მათი გატანა დაუშვებელია თუ ეგზემპლართა რაოდენობა 3-ზე ნაკლებია. 3-ზე მეტი ეგზემპლარის შემთხვევაში წიგნი გაიცემა 3 დღის განმავლობაში, ვადის გაგრძელებაზე მკითხველმა უნდა მიმართოს ბიბლიოთეკარს.

5.5. მკითხველი ვალდებულია :

- გაუფრთხილდეს წიგნებს, ბიბლიოთეკის ქონებას;

დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს 2013 წლის 26 ივნისის №01-06 ოქმით

- მასალის მიღების მომენტში დეფექტის აღმოჩენისას აცნობოს ბიბლიოთეკარს;
- მასალის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში ჩაანაცვლოს იმავე ღირებულების და შინაარსის გამოცემით ან გადაიხადოს წიგნის ღირებულების ორმაგი თანხა.
- დროულად დააბრუნოს ბიბლიოთეკიდან გატანილი მასალები.
- არ გააკეთოს ბიბლიოთეკის მფლობელობაში არსებულ მასალებზე ჩანაწერები, არ ამოხიოს ფურცელი ან სხვა სხვაგვარად არ დააზიანოს მასალა.

5.6. მკითხველოს მიერ ბიბლიოთეკის წესების დარღვევის შემთხვევაში ბიბლიოთეკარი იყენებს შემდეგ სანქციებს:

- გაფრთხილება;
- წიგნის გატანის უფლების ჩამორთმევა ვადის მითითებით.
- ბიბლიოთეკისადმი მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

## 6. დასკვნითი დებულებები

6.1. ბიბლიოთეკის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე.